ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 9 | 75 | 4 . . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲡ ᲓᲐᲘᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ 1890 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის აძრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцiю газеты „ИВЕРIЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ᲒᲝᲠᲙᲘᲚᲘ**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

Ა. Ი. ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

სასტუმრო

**„ᲞᲣᲠ-ᲦᲕᲘᲜᲝ"-ში**

მთელის დიდ-მარხვის განმავლობაში, სახსნილოს გარდა, კეთდება ყოველ გვარი ᲑᲣᲚᲣᲚᲘ და ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲕᲝ საჭმელები. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით. (3—3)


## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** ტფილისის საქალაქო გამგეობასუკვე შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა ანუ სმეტა ამ 1890 წლისა. სმეტა გადასინჯულია ფინანსთა კომისიის მიერ. სმეტიდგან სჩანს, რომ ქალაქის მმართველობას მთელის 1890 წლის განმავლობაში შემოსავალი მოელის 684,815 მან., ხოლო გასავალი 728,195 მან. მაშასადამე, წელს 43,380 მან. დეფიციტი ექმნება, ე. ი. შემოსავალზე 43,380 მან. გასავალი მეტია. ეს დეფიციტი იქიდამ წარმოსდგება, რომ გასავალი ჩვენს ქალაქს ამ წელს შარშანდელზე 74,264 მანეთით მეტი ექმნება, თუმცა წრევანდელი შემოსავალი შარშანდელს 27,264 მანეთით მაინც აჭარბებს. წელს ქალაქს მოსპობია შემოსავალი წონის ბაჟისა 4,000 მანათი და დროებით აგებულის ფიცრის დუქნებისა 5,600 მანათი, ე. ი. სულ 9,600 მანეთი. წელს ხარჯი ქალაქს აი რაში მოჰმატებია. სავალდებულო ხარჯი: ამ წელს ტფილისის პოლიციისათვის დაუნიშნიათ 7,500 მანეთით მეტი შარშანდელზე, რადგანაც ქალაქის მმართველობას უნდა პოლიციას მოხელენი მოუმატოს; ცეცხლის ჩამქრობთა კომანდისათვის მიუმატნია 870 მან., სახელმწიფო გარდასახადი 223 და დროებით აქ მყოფ ჯარის სადგომების ქირა 3,300 მანეთი. სჩანს სავალდებულო ხარჯი ქალაქს მომატებია 11,893 მან. არა-სავალდებულო აი რა მოჰმატებია: სამკურნალო საქმეთა მოსაწყობად წელს 3,700 მანეთით მეტი ხარჯი აქვს დანიშნული შარშანდელზე, ახლად გასამართ დედათა მკურნალ ხარჯის სმეტაში დანიშნულია 9,915 მან. (ეს სამკურნალო მარტში უნდა გაიმართოს ტფილისში ოც-და-ათ ადამიანისათვის), ქალაქის ქუჩების გადაკეთებისა და ქვაფენილების გასასწორებლად ამ წელს ქალაქს დაუნიშნავს 4,701 მანეთით მეტი შარშანდელზე, ქუჩების მორწყვა—438 მან., ახალის როლლოვის ქუჩის გაყვანა—500 მან., ქალაქის ქუჩების განათება—2,870 მან., კანალიზაციის პროექტის შედგენისათვის დაუნიშნავს 1,000 მან.; მოულოდნელი ხარჯი—6,442 მან. სულ არა-სავალდებულო ხარჯი ქალაქს დანიშნული აქვს ამ წელს 23,768 მან.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ელ. აღნიაშვილისაგან განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ 13 მან. იყო 338 მ. შესდგა სულ 351 მ.

*** ბ-ნი პეტრიაშვილი გვწერს დეპეშით ეკატერინოდარიდამ: მწუხარებით აღვსილი დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების მოულოდნელ ამბით მეც ჩემს გლოვას შემოვუერთებ იმ ცრემლს, რომელიც საქართველომ დააფრქვია სამშობლოს მოღვაწეს საფლავზედ.

*** ფრიად სამწუხარო ამბავი გავიგონეთ ამ დღეებში: ქიზიყის ერთ-ერთ სოფელში წვეულებაზე ჩხუბი მოსვლიათ ორს ვაჟკაცს და ამ ჩხუბში იქვე მოუკლავს ერთს მეორე.

*** 10 მარტიდამ დაიწყებს თავის ფრანგულს წარმოდგენებს საფრანგეთის საოპერეტო დასი კლოდიუსისა. დასის სეკრეტარია შარშანდელი ნაცნობი ტფილისელებისა ბ-ნი შარლე.

*** ყაზანის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში*) დაბეჭდილია ს.

*) Уч. З. Имп. К. У. по юрид. фак. 1889 წლისა.

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

## ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲔᲮᲗᲐ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ-ᲫᲕᲔᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ *)

ჩვენის აზრით, არმენიაში ნაპოვნ ლურსმულ წარწერათა ენა მეტისმეტად ემზგავსება ქართულ ენას, თუ ყურადღებას მივაქცევთ თვით საგნის გამოკვლევას იმოდენად, რამოდენადაც ჩვენ ეს შევიძლიან ეხლა. იმედი მაქვს მომავალში, როდესაც ეხლანდელი ჩემი გამოკვლევა წინ წაიწევს, ბლომად წარმოვადგინო შეურყეველნი საბუთნი ამ მზგავსებისა. ეხლა-კი წარმოგიდგენთ მარტო ერთ შეურყეველ საბუთს, დაფუძნებულს არსებითის სახელის ბრუნვაზედ. შემდეგი სახე ბრუნვათა დაბოლოებისა უეჭველად გამოდის წარწერათა განხილვისაგან.

ბრუნვა პირველი.

Nominatif: — is (ის)
Génitif — iais (იაის)
Inténsif du génitif: — isini (ისინი)
Datif: — ini (ინი)
Intensif du datif: — inini (ინინი)
Accusatif: — ie (ე)
Instrumental: — idi (იდი)
Intensif de l'instrumental: — idini (იდინი)
Ablatif: — iste (ისტე)
Demonstratif: — imeni (იმენი)

ამის გვერდით ლენორმანს გამოუსახავს ალაროდიულ ბრუნვათა დაბოლოებანი ლურსმულის ასოებით, რომელთა აქ წარმოდგენა უქმი იქნება.

ბრუნვა მეორე

Nominatif: — as
genitif: — ais
Inténsit du génitif: — asini
Datif: — ani
intensif du datif: — anini
Accusatif — aye
instrumental: — adi
intensif de l'instrumental: — adini
Ablatif: — aste
Demonstratif: — amani.

აქაც ბრუნვათა დაბოლოებანი, გამოსახულია ლურსმულის წერილით.

ეხლა მე წარმოვადგენ ბრუნვის მაგალითს ალაროდიელების უფროს ღმერთის სახელისა Xaldis. (ლედანი წარმოადგენს სრულს მაგალითს ამ სახელის ბრუნვისას ლურსმულის წერილით). როგორც თქვენ თითონ დაინახავთ, ეს ბრუნვა, წარმომადგენი აუარებელ ფორმების სიმდიდრისა, არაფრით არა ჰგავს არც არიულთა, არც თურანულთა ბრუნვათა, მაგრამ განსაკვირველად ჰგავს და ეთვისება ქართულ ბრუნვის ფორმებს, რომელიც იმავე ტემათათვის წარმოგვიდგენს შემდეგ დაბოლოებათა:

Nom. — i — a.
gén — is, isa — is, isa.
Dat. — sa — sa.
Accus — ei — i.
Instrum. — itha — atha.
(Jnst. 2 — ad — ad).
Ablat. — isagan — asagan.
Demonst. — man — aman.

როგორც ხედავთ, ანალოგია, მსგავსება ამათ შორის განსაცვიფრებელია. ხოლო ახლანდელ ქართულ ენას დაუკარგავს განმეორებითნი, ინტენზივნი ფორმანი, რომელთა ძებნა გარეშე ალაროდიულთა წარწერათა უქმი იქნება და რომელნიც შესდგებიან იმით, რომ მარტივ ბრუნვის დაბოლოებას დაუმატებენ მარცვალს ni [1]).

მრავლობით რიცხვის დაბოლოებანი ჰგვანან მხოლოობითს და სწარმოებიან ისე, რომ ... რომელიც ხან შესდგება იდეოგრაფიულად, ხან ფონეტიკურად, დაბოლოების წინ ჩაისვამს შემდეგ ნიშანს

, რომლის უეჭველი წაკითხვა ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ უეჭველად სიმრავლეს უნდა ჰნიშნავდეს (მაგალითი ლურსმულის წერით არის მოყვანილი).

ამ გვარი აგებულება ალაროდიულის მრავლობით რიცხვისაც სრულებით ეთანხმება ქართულ ბრუნვის აგებულებას სადაც მრავლობითი რიცხვი ჰგავს მხოლოობითს და განსხვავებისათვის მიჰმართავს მარცვალს bi, ჩასმულს ტემასა და ბრუნვის შუა (ლედანში მაგალითად წარმოდგენილია მხოლოობითი და მრავლობითი ბრუნვა ქართულის სიტყვისა— მამა [2]).

აქამდის შემდეგნი ნაცვალ-სახელნი გაგვირჩევია:

პიროვნებითნი ნაცვალ სახელნი:

 =me, ქართულად— მე.

 =Xi „il", ქართ. — ის, იგი.

 =sa, „ce", ქართ. ისა, ესა. შედარებითი:

 =si, „celui", ქართ.—ეს, ის.

მიჩემებითი:
...masse, „son", ქართ.— მისი, იმისი.

კავშირი:

 =da, „et", ქართ. და.

აგრეთვე გვაცვიფრებს მზგავსება ზედ შესრულთა აგებულებისა, იმ ზედ-შესრულთა, რომელნიც კუთვნილებას გამოსთქვამენ. ალაროდიული ამისათვის ხმარობს ნაწილს: nane, ქართული: ani, ანი. მაგალ., ხელი, ხელიანი, ფეხი, ფეხიანი, წყლიანი, ცერიანი, თმიანი.

წარწერათა ზმნის უღვლილების მზგავსება ქართულთან ისე ცხადი არ არის, როგორც ბრუნვისა. დიდი ნაწილი ფორმათა ჯერ გარკვეული არ არის, ანუ ეჭვ ქვეშ იმყოფება, მაგრამ რაც-კი აქამდის ნათლად გამოკვლეულა, განსაკუთრებით ჰგავს ქართულსვე: მაგალითებრ, აწმყო განსაზღვრებით დახრისა, დაბოლოებული ამ ნიშნით:—  —bi, ქართულად ბი (ვკვდები, ვიგრიხები და სხ.). ესვევ უნდა ითქვას ზოგიერთ სიტყვაზედ, რომელთა მნიშვნელობა ცოტად თუ ბევრად აქამდის ახსნილა: ეს სიტყვები უფრო ქართულ სიტყვებს დაუახლოვდება, ვიდრე სხვა რომელისამე ენის სიტყვებს.

თუ რომ არმენიის წარწერათა ენა განსაკუთრებით და მეტის-მეტად მიემზგავსება ქართულ ენას ღრამატიკის მხრით, იმის ლექსიკონში უეჭველად ... ამის დასამტკიცებლად ავიღოთ სიტყვა Xinis, ხინის, რომელიც საკუთარ სახელებს მიებმება ბოლოდგან შთამომავლობის საჩვენებლად:

Mena—Menaxinis (მენახინის)—მენახშვილი, მენაშვილი.

Argistis—Argistixinis (არგისტიხინი)—არგისტისშვილი, არგისტიშვილი.

Beliduris—belidurixinis (ბელიდურიხინის) ბელიდურისშვილი, ბელიდურიშვილი.

აქ ლენორმანს მოჰყავს სიტყვები: Xinis, Parris და paru, ნაპოვნნი ალაროდიულ წარწერებში, რომელთაც ლინგვისტიკურ შედარებით ... სიტყვებად ჰრაცხს.

არიული ელემენტი წარწერათა ენაში და ლექსიკონში აგრეთვე სჩანს ალაგებისა, ადამიანებისა და ღმერთების საკუთარ სახელებიდგან. Sar—yukin მოიხსენიებს ერთ არმენიის ღმერთს, რომელსაც Bagmastuo ს უძახის და ეს სახელი უეჭველად წარმოადგენს არიულ ფორმას Baga—mazda-სი, რომელსაც უნდა დაუპირდაპირდეს Ahura—mazda. გეოგრაფიულთა სახელთა შორის ყველაზედ დიდი მნიშვნელობის მქონე არის Urardi, ანუ Urarti, რომელიც სრულებით ემზგავსება Airyaratha-ს. ამ Airyaratha-ს თუ რა აუარებელი მნიშვნელობა ჰქონდა არიათა უძველეს თქმულებათა შორის, ეს ყველამ კარგად იცის და უმეტესის სინათლითეს გამოითქვა ბ-ნ ობრის წიგნში (ნახე Le berceau de l'espèce humaine და სხ.)

ილია ოქრომჭედლიშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" №№ 37 და 38.

[1]) გგონებ ეს ქცხნა ქართულ ენაში ისე უქმი არ იყოს, როგორც მას წარმოიდგენს ფრ. ლენორმანი, რომელმაც, საუბედუროდ, ქართული ენა ღრმად არ იცოდა. საბუთად, გავკვრით მოვიყვან შემდეგ მაგალითებს, რომელნიც, თუმცა ni-ს არ მოიბამენ, მაგრამ იმავე განმეორებითს და განმამძლიერებელ კანონს, რომელიც ლენორმანს შეუნიშნავს ალაროდიულს ენაში. მაგ. ძირსა ხისასა, ენასა მეტყველისასა, ტყავსა ვეფხვისასა, სახლსა მეფისასა და სხ.

[2]) ლენორმანი ყურადღებას არ მიაქცევს ქართულ მეორე ბრუნვის ფორმებს სადაც ნ ი და თ ა იხმარების; ხოლო ალაროდიელების მხოლოობით ბრუნვების ბოლოებში მოიპოვებიან ეს მარცვალნი, რომელნიც იმ ბრუნვებს სიმდიდრით გამოგვიხატვენ. იქნება ამ მარცვლებს, როგორც ბრუნვათა ბოლოს, ჰქონდეთ რამ ანალოგია ალაროდიულ ბრუნვებთან.

ელიაზაროვის წერილი «გამოკვლევანი ამიერ-კავკასიის დაწესებულებათა ისტორიისა». ეს გრძელი წერილი (1—336 გვ.) შესდგება VII განყოფილებისაგან: I წოდებრივი აგებულება საზოგადოებისა, II იურიდიული დამოკიდებულება ოჯახისა საზოგადოებაში, III შინაგანი მოწყობილება საზოგადოებისა, IV მიწათ მფლობელობა, V საკუთრების მოელა-პატრონობა, VI სარწყავის პატრონობა და VII ხარჯი და ბეგარა. აღნიშნულ საგნებს ავტორი დაწვრილებით არჩევს და არკვევს, გვიჩვენებს საქართველოისა და ჩვენის მეზობლების ყოფა-მდგომარეობას წინად, ჩვენის მეფეების დროს, და შემდეგ, რუსეთის მფლობელობის გავრცელების აქეთ. ამ ფრიად საინტერესო წერილში ავტორი იკვლევს აგრეთვე ფშავ-ხევსურ-თუშების ოჯახისა და თემის აგებულობა-მოწყობილობას. იგი ამბობს, რომ აქ უზენაესი უფლება თვით ხალხს ეკუთვნისო. ყოველს თემს აქვს თავისი კულტი, რომლის წარმომადგენლებად ითვლებიან დეკანოზნი და ხუცესნი. სათემო სამართალს განაგებს ბჭე. ამათი უმაღლესი სასჯელი არის დამნაშავის თემიდგან განძევება და იმის ქონების იავარ ყოფა. ამას გარდა ერთხელ და სამუდამოდ ბჭეთა მიერ გარდაწყვეტილია და დადგენილი ყოველ გვარ ჭრილობათა და დანაშაულობათა გადასახადი: ქურდმა უნდა გადაიხადოს შვიდჯერ მომატებული მოპარულის საღირალისა, თვალის დაშავება ღირს 30 ძროხა, ფეხისა—24 ძროხა, მარჯვენა ხელისა—22 ძროხა, ცერისა—5 ძროხა, სალოკის თითისა—4 ძროხა, შუა თითისა—3 ძროხა, უსახელოსი—2 ძრ. და ნეკისა—1 ძროხა, კბილისა ერთი ძროხა. დედაკაცის მცემელს ერთმევა 11 ცხვარი, მამაკაცისას—5—6 ძროხა. ბრძოლა-შუღლის დროს თუ ერთმა მეორეს წარკვეთა ცხვირი, უნდა გადაიხადოს 30 ძროხა, თუ ყური—5 ძროხა, თუ გაუტეხა ძვალი—8 ძროხა, თუ სასიკვდილოდ დასჭრა—60 ძროხა და სხ.

*** **სამეგრელო:** ცოტა ზარალი არ მოგვცა ახალმა ავადმყოფობამ ინფლუენციამ. ხალხი ყურადღებას არ აქცევდა, რადგანაც უბრალო სურდო-ხველა ეგონათ. მუშაობას თავს არ ანებებდა ხალხი, არა სცდილობდა თავის მოვლას, ამასობაში ფილტვები ანთება უჩნდებოდა და უმოწყალოდ იჟლიტებოდა. იანვრის განმავლობაში ბევრი ახალგაზდა და ხანში შესული ადამიანი გამოესალმა წუთი-სოფელს ინფლუენციის წყალობით. ეხლა, მადლობა ღმერთს, ინფლუენცია მიწყნარდა, მაგრამ ნაცვლად უფულენციამ შეგვაწუხა. სიმინდს ფასი აღარა აქვს: ფუთი 32 კაპ. ფასობს. პირუტყვს: კამეჩს, ცხენს ხარს, თუ ძროხას ნახევარ ფასად იყიდი, მუშა ხალხი ენით გამოუთქმელ გაჭირებაშია ჩავარდნილი. აი სხვათა შორის მაგალითიც. მიწის მთხრელი თუ სხვა მომუშავე სვანები ეხლა ჩვენში მხარზე ბარ-ნიჩაბ გადებულები დადიან და იძახიან: ერთი აბაზი ფულად გვიწყალობეთ, ცოტა მჭადი მოგვეცით საჭმელად და რამდენიც გინდათ და რაც გინდათ, ის გვაკეთებინეთო, მაშინ-როდესაც დღეში წინად 60-80 კაპ. ნაკლებ არა მუშაობდნენ.

*** **სოფ. ყელთი** (გორის მაზრაშია): ამ ხანად აქ საშინელი საქონლის ჭირი მძვინვარებს. მთელი სოფელი და სოფლის მინდვრები სავსეა ჭირისაგან დახოცილის საქონლის მძორით. საქონელს ვილა იჩივლებს, თუ ჩვენც არაფერი არ დაგვერია ინფლუენციის შემდეგ. ამ საქონლის ჭირმა ბევრი კაი ოჯახი შეილო და ბევრი ხელ-მოკლე და უილაჯო კაცი დაახარალა და დასვა ხელ-ცარიელი. აქაურს როსტომ ჯიოშვილს ჰყავდა ოცდა-ორი სული საქონელი. ჭირს შემდეგ დარჩა მხოლოდ ორი სული, სხვა სულ გაუწყდა. რამდენს კიდევ სხვას აუტირა გული ამ ჭირმა, მაგრამ ვინ არის პატრონი და მშველელი ჩვენის საწყალ ხალხისა. ინფლუენცია ჩვენ-კი მოვიშორეთ, როგორც იყო, მაგრამ სოფ. წრომსა და სხვა სოფლებს გაავლო მუსრი.

*** **სოფ. წრომი** (გორის მაზრა): ჩვენი სოფელი ერთობ შეწუხებულია წყლის სიშორისა და უქონლობის გამო და ამიტომ ეხლა აპირობენ მახლობელ მთიდამ წყაროს წყლის გამოყვანას. მკითხავებმა შეგვიწუხეს სული. აქ მოვიდა ერთი მკითხავი და მთელი სოფელი კინაღამ კაბის კალთაში არ გამოიხვია მოხერხებულის, მოქარგულის ენითა და ტყუილებით. აქაურ მღვდლის წყალობით-კი გაიდევნა ეს მკითხავი აქედამ, მაგრამ ვაი სხვა სოფლების ბრალი, სადაც დამრიგებელი არავინა ჰყავთ და სადაც როგორიც ერია, ისეთი მღვდელია.

*** **ქ. ზ. გ.:** სოფ. ზილგეში მოვაჭრე იაგორ ახვერდოვი კარგა ხანია ვაჭრობს ფარჩით. თოთხმეტ ამ თვეს-კი გაულაგეს საბრალოს დუქანი ავაზაკებმა და დასვეს ხელ-ცარიელი. ასე ყოფილიყო საქმე: იაგორ ახვერდოვს დუქნის ოთახში სძინებოდა; მოსულიყვნენ შვიდი ცხენოსანი ავაზაკი, დაეგდოთ რკინის კეტი ფანჯრის საკეტ რკინისთვის გამოევლოჯათ კოჰიანად, მერე გადასულიყვნენ ფანჯრიდგან დუქანში, გამოელაგებინათ, რაც კარგი და კარგი ფარჩა ყოფილიყო, დაესაპალნებინათ ცხენები და გასდგომოდნენ გზას. თავისი დღეუპვა საბრალო ახვერდოვს გათენებამდის ვერ გაეგო. გათენებაზედ ზილგიდგან მდევარი გავიდა, წაიღეს შვიდი ცხენის კვალი და ქიშტების სოფელში მიიტანეს, მაგრამ რა გამოვიდა! ამისთანა მიტანილი კვალი ბევრი შერჩენიათ ქიშტებს და ვინ იცის, ესეც ისე შერჩეთ. საბრალო იაგორ ახვერდოვს სამას თუმანზედ მეტი ზარალი უჩანს. საცოდავი კაცი თავის სამშობლო მიწა-წყლიდგან გადმოვარდნილა უცხო ქვეყანაში იმ იმედით, რომ ეგებ დღიური ლუკმა ვიშოვნო, მეც ვირგო და ნათესავებსაც ვარგო რამეო, ვინ იცის რამდენჯერ შიმშილი, წყურვილი და სიცივე უნახავს და გამოუვლია, ასეთის წვა და დაგვით ორიოდ შაური უშოვნია და ისიც დღეს მოულოდნელად ხელიდგან გამოჰგლიჯეს.

*** **სოფ. ხუმლაგა** (კავკავის მაზრა): ჩვიდმეტს ამ თვეს სოფ. ხუმლაგაში, წირვას შემდეგ, დიდის მწუხარებით იქმნა გადახდილი პანაშვიდი ჩვენის ძვირფასისა და დიდის მოღვაწის, მამულიშვილის დიმიტრი ბაქრაძის სულის მოსახსენებლად მღვდლის ნესტორ ბაკურაძის მიერ. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღირსო ნეტარებისაო და მარად სახსოვარო ძვირფასო ქართველო!

*** „Нов. Вр.“ სწერენ პარიჟიდამ, რომ არტისტები რუსეთისა ერმოლოვის ქალი და ბ-ნი იუჟანი (თ. სუმბათაშვილი) ისე კარგად თამაშობდნენ „ერნან“-ში დონია სოლისა და დონ-კარლოსის როლებს, რომ ებოძათ ოფიცრობა აკადემიისა (officiers d'academie).

*** გაზ. „Нов. Обоз.“ ამბობს, რომ ტფილისში ხმა გავრცელდა, ვითომ ბაქოში გაჩენილა რაღაც საეჭვო ავადმყოფობა, რომელმაც უკვე იმსხვერპლა რამდენიმე კაცი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გურია**, 20 თებერვალი. «ხმა ერისა და ხმა ღვთისაო», ნათქვამია. იანვარში, როცა არეული ამინდები, გახშირებული სიკვდილი და ავადმყოფობა იყო, როგორც გწერდით, ამბობდნენ: ავდრები დაგვიდგება, სენმა რაც გვიყო, იმას გვაკმარებს, მოიქამს ჭანს და თავის თავად დასცხრებაო. ხალხს თითქო გულმა უგრძნოვო, ეს ქადილი ახდა. მას შემდეგ კაი დარები დაიწყო, კაი ხანს გასტანა, სენი ყველა სოფელში თანდათან სცხრება და დღეს ზოგ სოფელში სრულიადაც აღარ არის ავადმყოფობა.

სიმინდის გაიაფებამ ყველა ღრმად დააფიქრა. რადგან ხელს არ აძლევთ, გლეხები წინანდებურად დიდ-ძალ ყანის შემუშავებას აღარ აპირობენ. ზოგი გლეხი იმ აზრისაც-კი არის, რომ მხოლოდ სამყოფი სარჩო მოვიყვანოთ, შრომა დიდი სჭირდება და გაყიდვით საიმისო ფაიდა არა გამოდისო. თუ გლეხებმა თავიანთი განზრახვა განიხორციელეს, ბევრი სეყანე ადგილი დარჩება სახნის მიუკარებლად, უყანოდ და მოუყდება. რა თქმა უნდა, რომ ამით, უამისოდაც შემცირებული მემამულეთა შემოსავალი, უფრო მეტად შემცირდება.

უმრავლესობას ჯერ სიმინდი არ გაუყიდნია. ენანებათ, გადაყრილად მიაჩნიათ იმ ფასად გაყიდვა, რა ფასიც დღეს აქვეს (ფუთი შვიდი შაურია). როცა გაუჭირდებათ, თუ შეიგულეს, დიდის სარგებლით ფულის სესხად აღებას რჩეობენ. უცდიან დროს, ევების აიწიოს ფასმაო.

ამ ათის დღის წინად ერთს მიყარდნილს სოფელში, სადაც კაი ძალი სიმინდები აქვთ გასაყიდი, მივიდა ორი უცნობი კაცი და შემდეგის საყურადღებო და გულის გამთბობის სიტყვებით მიჰმართა სოფლელებს: «ჩვენ თავი მესიმინდეები გახლავართ და ბევრი ხელ-ქვეითებიცა გვყავს, რომელნიც ჩვენთვის ჰყიდულობენ სიმინდს, მაგრამ იმათაც ხომ გამორჩენა უნდათ და თქვენ იძულებული იქნებით სულ იაფად გაჰყიდოთ; შემდგომისათვის სიმინდის მოყვანის ხალისი დაგეკარგებათ. რადგან გურიაში თაობიდამ ცხოვრების უმთავრესი საშუალება ეს წარმოება ყოფილა და ჯერჯერობით სხვა არა სჩანს-რა, ერთბაშად რომ დაეცეს ეგ წარმოება, ცუდია. ჩვენ ხალხი გვებრალება, ამიტომ გადავწყვიტეთ ფუთ სიმინდში ათ-ათი შაური მოგცეთ და, რაც სიმინდები გაქვთ, ჩვენ მოგვყიდეთ. ამ თავით შეუდექით გაფუშნასა და დამზადებას. რაც შეეხება ბეის დატოვებას, ჩვენ თან ფულებს არასოდეს არ ვატარებთ, შიშია. ამა-და-ამ დღეს ამა და-ამ ადგილას მოდით, ფულებს მიიღეთ და მერე სიმინდი მოგვიტანეთ».

ცოტა არ იყოს, ამ მამობრივმა დაანუგეშა ჩვენი გულ გატეხილი სოფლელნი. საპატიო სტუმრები ვისაც ესტუმრნენ და გააბედნიერეს, ძალიან გამოიდევს თავი, გულ უხვი მასპინძლობა, რა თქმა უნდა, არ დაუკლიათ. გაისტუმრეს თუ არა, ყველამ სიმინდის დამზადებას მიჰყო ხელი.

„გველსა ხვრელით ამოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი“.

დანიშნულს დღეს წავიდნენ ფულების მისაღებად კარგა შორს მანძილზე, მაგრამ იმათი მიმჭმ ბი ვაჭრები ვეღარ იპოვეს. ქვეყანაზედ ბევრი უსაქმური, მატყუარა და ახირებული გასართობის მოყვარული კაცია. ნუ იტყვით და როგორც დანამდვილებით გაიგეს, თურმე ისინიც იმათ წრეს ეკუთვნოდნენ. სირცხვილისაგან წამოწითლებულნი, დაღალულ-დაქანცულნი, დაზარალებულნი მოცდენითა და დროს დაკარგვით ისე დადარდიანებული-კი დაბრუნდნენ, რომ გარეშე კაცს ეგონებოდა, მკვდრის დასაფლავებაზე ყოფილანო. რას იზამ, ზოგი ადამიანი ისეთი ყალბი თანამგრძნობელი და გველივით ჭრელია. ერთის კვნესა და წუხილი მეორესათვის მღერა და სიცილია.

თათრის ქვეშევრდომნი, ნესტორიანის სარწმუნოების აღმსარებელნი ასურეთელი, მღვდელი, რომელთაც გურიაში ბერძნის ხუცებს ეძახიან, ხშირად მოდიან აქ საწირავ-სალოცავის, თუ მ-წყალების შესაკრებად. ერთი იმათგანი ორის წლის წინად წამოსულიყო თავის სამშობლოდამ, მოევლო რამდენიმე მაზრა და მოეგროვებ ნა $331\frac{1}{2}$ მანეთი. ამ მოკლე ხანში წასულიყო ბათუმს, ეს ფულები დაეცვალა ზარაბთან 39 თათრულ ოქრო ლირაში (თითო ოქრო $8\frac{1}{2}$ მან.) 20 ოქრო შიებარებინა ვიღაც ნაცნობისათვის, რაზედაც ვალდებულობის ბარათი ჩამოერთმია და ისევ დაბრუნებულიყო სოფლად.

12 ამ თვისას მივიდა სოფ. მიქელ-გაბრიელში ერთის კაცისას, სადაც სხვა სოფლიდამ მოსული სტუმარი დაუხვდა. დამხვდარმა სტუმარმა ახალ მოსულ სტუმარს ზომაზე მეტი ღვინო მასთავაზა, და იმანაც არ უთხრა უარი. ღვინით დამძიმებულ სულის მამას გადმოეარნა მასპინძლის ეზო, რამდენიმე ნაბიჯი მოეცვალა, წამოწოლილიყო ბილიკზედ და ჩასძინებოდა. ბედკრულ ასურეთელ მღვდელს ნოეს ცოდვის ჩადენა ერთობ ძვირად დაუჯდა. ვიღაც სულზედ ხელ აღებული მიჰპარებოდა, გაექრა გულთან მიკერებული ახალუხის ჯიბე და წაეღო ქისა, რომელშიაც ყოფილიყო გაბარებულ 20 ოქროს ბარათი და 19 ნაღდი ოქრო. ეჭვი აიღო იმაზედ, ვინც გადაჭარბებული ღვინო დაალევინა. მიქელ-გაბრიელში ყოველ გვარი ავ-კაცობა იშვიათია. მთელი სოფელი შეაწუხა ცალკე დამკარგველის ცოდვამ და ცალკე სირცხვილმა. გამოძიება სწარმოებს.

თეოფანე კალანდარიშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

8 თებერვალს შევატყე ჩემს ქალს, 4 წლისას, რომ თვალები და ფეხები ცოტა შეუშუპდა და სიცხე მისცა. სიცხე თუმცა ერთის კვირის წინადაც მისცა, მაგრამ თვალების დასიებამ შემაშინა და მივმართე ექიმს ხუდადაშვილს. ხუდადაშვილი ჩემზე მოახლოვებით სცხოვრობს და ქალი იქ ჩავიყვანე. გაშინჯა ხუდადაშვილმა და მარტო გულის ფრიალი შეატყო, დაუნიშნა წამალი და თანაც გვითხრა, რომ ყმაწვილის შარდი ჩაგვეტანა მასთვის. 9 თებერვალს შარდი ჩავუტანეთ. შარდის გამოკვლევას შემდეგ ხუდადაშვილმა გამოგვიცხადა, რომ ყმაწვილს ქუნთრუშა ჰქონია, გაგიციებიათ და თირკმელებს ანთება მოსვლიაო, თურმე გულის ფრიალიცა და დასიებაც ქუნთრუშის მიზეზი ყოფილაო. ხუდადაშვილი სახლშიაც მოვიდა და თბილ წყალში ბანება გვირჩია, მაგრამ ორჯელ მეტად ვერ მოვასწარით ბანება, ყმაწვილი გარდაიცვალა. მოწმობას რომ გვაძლევდა ყმაწვილის გარდაცვალებისას, ხუდადაშვილმა მითხრა: თუ სხვა შვილებიც გაგიხდნენ ავად ქუნთრუშით, მე ნუღარ დამიბარებ, შვილების პატრონი ვარ და უშვილო ექიმი ბევრია ტფილისშიო. ყველიერის პარასკევს ორივე ჩემ დანარჩენ შვილებს ერთად მისცა სიცხე. ძალიან შევშინდი და მივმართე ექიმს პროტასოვის, რომელიც იმავე სახლის ზემო სართულში სცხოვრობს, საცა მე. თავისის შვილის პირით შემოგვითვალა, რომ ძუძუთა ბავშვი მყავს და არ შემიძლიანო.

თუმცა შორსა სცხოვრობს ჩემზე, მაგრამ გადავწყვიტე მივმართო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ექიმსთვის ბ-ნ ზემერისთვის. უნდა ვსთქვა, რომ მეც იმავე შტაბის სამსახურში ვითვლები. ჩავიარე შტაბში და მოსამსახურისაგან შევიტყე, რომ ზემერი ახალი ჯვარ-დაწერილია და შვილები არა ჰყავს, სცხოვრობს საიუნკრო სასწავლებლის ახლოვო. გავეშურე იქით. იფიქრეთ, რა ნაირად გულს შემომეყრებოდა, როდესაც იმანაც უარი მითხრა იმ მიზეზით, რომ მეშინიან ჩემს ავადმყოფებს არ გადაედო, და გაუდელინსა და უშაკოვზე მიმასწავლა, ისინი არიან სპეციალისტებიო.

სასოება დაკარგულმა ექიმებზე, დავამყარე სასოება ღმერთზე და დავბრუნდი შინ. იმ დღეს რაღა იქნებოდა და მეორე დილას არტემოვიჩი წამომყვა და რა აღმოჩნდა? ჩემდა საბედნიეროდ, თურმე უბრალო სიცხე ყოფილიყო. საზოგადოებისათვის მიმინდვია განსაჯოს, რა ყოფაში უნდა იყოს ამას შემდეგ შვილების პატრონი ათას გვარის მოარულებით მოდებულს ტფილისში.

მთავარ-დიაკონი ილიკო მათიკაშვილი

### II

2 თებერვალს ხაშურის ფოსტის სადგურიდგან ჩემ მიერ გაგზავნილი იყო „მეურნეს“ რედაქციაში მთელის წლის დასაკვეთი ხუთი მანეთი, რის საბუთად ფოსტის ბარათიცა მაქვს № 12. 14 თებერვალს წერილით „მეურნეს“ რედაქციას ვთხოვდი ეცნობებინა ჩემთვის მიზეზი გაზეთის გამოუგზავნელობისა. მაგრამ არც გაზეთი და არც პასუხი არ მომსვლია, რის გამოც იძულებული ვარ უმორჩილესად გთხოვოთ დაუთმოთ ჩემს წერილს ადგილი თქვენს „ივერიაში“. იქნება ამას შემდეგ მაინც ინებოს „მეურნის“ რედაქციამ და მაცნობოს პასუხი.

გიორგი შარიქაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პასუხი ბ-ნ ჩხიკვაძეს

„ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელს".

ჩემმა საახალწლო წერილმა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი გაამწყრალა და გამოიყვანა მოედანზე აღშფოთებული სხვა-და-სხვა საოცარის იარაღით. ეს ერთია ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე, „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელი"!

უნდა მოგახსენოთ, ამ „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელს" *) ბ-ნ ზ. ჩხიკვაძეს პასუხს არ გავცემდი, რომ სხვების გულის ხმაში ჩავდებაც არა მქონოდეს ფიქრად.

წელს «ივერიის» მესამე ნომერში დაბეჭდილ „საახალწლო წერილი კახეთიდგან"-ში მქონდა თქვენს უმორჩილესს მონას მოსამსახურეს პატარა შენიშვნა თელავის სასულიერო სასწავლებლის შესახებ. სხვათა შორის ვამბობდი:

„შარშან-წინ 1888 წ. სამღვდელოთა კრებამ მიაქცია ყურადღება ერთს მართლა-და საყურადღებო საგანს—ქართულ ენა-გალობას და ქართულად წირვა-ლოცვას, რომელიც სანატრელს მდგომარეობაში არ იმყოფება. კრებამ დაავალა ზედამხედველს, რომ უმთავრესი ყურადღება მიექცეს ქართულ გალობასა და ქართულად წირვა-ლოცვას... დავალება „დავალებად" დარჩა და გალობის მასწავლებელი 1889 წელსაც არ ასწავლიდა ქართულ გალობას.

წარსულ გიორგობისთვეში 1889 წ. კვლავ შეიყარა სამღვდელოთა კრება. კრებამ შეუმცირა გალობის მასწავლებელს ჯამაგირი ოც-და-რვა თუმნამდის წელიწადში. მასწავლებელი გალობისა, როგორც მოსალოდნელი იყო, წავიდა სხვაგან ადგილის საძებნელად.

თუ ვინმე გამოჩნდება რიგიანი ქართული გალობის მასწავლებელი და იკისრებს თელავის სასულიერო სასწავლებელში მოსვლას, დარწმუნებული ვართ, სამღვდელოება არ დაიშურებს იმისთვის ერთი-ორად ჯამაგირის მიცემას და სხვა...

აი, ამ ჭეშმარიტს შენიშვნას გაუწიწმატებია დღეს „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელი", ხოლო წარსულ 1888—1889 წელს თელავის სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლად ყოფილი ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე და გაბედვით მიპასუხებს „ივერიის" მე-18 №-ში: „ეგ ცხადი სიცრუეაო", „ეგ შეადგენს უღირსს ცილის-წამებასაო", „თქვენის მომხრეებით და დასებით ტყუილად გამოილაშქრეთ ჩემზედაო" და სხვა. თვალები მოიფშვნიტეთ, ბ-ნო ჩხიკვაძევ? ნეტავ ვინ და რომელი „დასები" გელანდებათ?! ან რა „სადასო" და სათასო ბუმბერაზი ბძანდებით?! როცა ზრდილობიანი საყვედური გითხრეს, იმის მაგიერად, რომ შეცდომა როგორმე გაისწოროთ ან აღარ გაიმეოროთ, მოჰყოლიხართ ძახილს: „ეს დასებია", შეთქმულობაა და სხვა. ნუ თუ ამაზე უკეთესი იარაღი ველარა იპოვება-რა საზოგადოების თვალების ასახვევად?!

იმის სამაგიეროდ, რომ საგანზე პირდაპირი პასუხი მოეცა ჩემთვის ბ-ნს ჩხიკვაძეს, მოჰყოლია „ოცობოდობას" და ვინ იცის რას არ გადასცემს და სად რას არ ეხლება ნამდვილის, ჭეშმარიტის გზისა და კვალის ასარევად როგორც „წყალში დამრჩვალი ხავსს ეჭიდებოდაო", ისე ბ-ნი ჩხიკვაძე მიაპარდება „როსტომაშვილის" სკოლას და აწერლებს მთელს ორ სვეტს „ივერიისას" მოხსენებულ სკოლის თაობაზე საუბრით. მაშინ როდესაც მე კრინტიც არ მქონია დაძრული არც როსტომაშვილსა და არც იმის სკოლაზე ჩემს წერილში. არც ეხლა გავსცემდი ხმას ბ-ნ ჩხიკვაძეს როსტომაშვილის სკოლის შესახებ, რომ ანდაზა: „მტყუანს ტყუილის კარებამდის მიჰყევიო" მალას არ მატანდეს და მეტი ღონეც არ არის, უნდა მივყვეთ ტყუილის კარებამდის.

ბატონი ჩხიკვაძე ბძანებს:

„ბატონმა მოქალაქემ და თითქმის მთელმა თელავმა იცის, რომ პირველად 1884 წ., როცა ბ-ნ პ. როსტომაშვილის (უთუოდ ვანო როსტომაშვილი უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც პ. როსტომაშვილი, დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა, და არავითარი სკოლა და პანსიონი არა ჰქონია) დედათა სკოლაში ვიყავი მასწავლებლადაო და ქალთა (შეგირდეთა) გუნდი გალობდა მთელს წირვის წესებს ქართულად თვით ტაძრებში ხშირადო. (ბატონო ჩხიკვაძევ არა წითლდებით?!) და თვით ბ-ნ მოქალაქის და ამ მოქალაქის ქურქში ამოფარებულ კაცების ალტაცებას ბოლო არა ჰქონდაო (ვაშა! ვაშა!!) და თითქმის ზეცას მაფრენდნენ (?!!!) და სხვ.

ჭეშმარიტად ესეც ერთი სიგმირეა ადამიანისა, ასე „თვალსა და თვალს შუა" ტყუილი სთქვას, და მერე ამოდენა, ამ სისხო, და ავახცახებულ ხელიდგან კალამი არ გაუვარდეს! აბა რაებსა ბძანებთ, ბ-ნო ჩხიკვაძე მასწავლებელო „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობისა?!" თქვენ კი გიგალობნიათ აქ თელავში ქართულად მთელის წირვის წესი, თუნდ სხვების დახმარებით, რომ მაშინდელ უსუსურ შეგირდ ბალღებს იმოწმებთ?! ან სად არის ნეტავ ეს ტაძრები, ან ის ბედნიერი მღვდელი რომელი იყო ერთს შემთხვევაში მაინც მწირველი, როცა თქვენ ისე ხშირად გალობდით ქართულად მთელს საგალობლებს წირვის წესისას? იმ მღვდლებმა მაინც დაგაჯერონ, რომ ეგ უსუსური, მტკნარი სიცრუეა, „ფერუმარილით" შეთითხნილი, და ეგებ ბაზარში როგორმე გაასაღო. მაგრამ თქვენგან მოხსენებულს „როსტომაშვილის" სკოლას დაარსებიდგანვე მლიერ ბეჯითად ვადევნებდი თვალ-ყურს და არც იოტის ოდენი ავი და კარგი იმ სკოლისა არ გამომპარვია.

როსტომაშვილის სკოლის დედათა შეგირდებმა, მართალია, იცოდნენ თითო-ოროლა „უფალო შეგვიწყალე" და «ამინ კირიელეისონი» და ამას ბალღების წასახალისებლად და ხალხში გასათამამებლად ათასში ერთხელ ეკლესიაშიაც ათქმევინებდნენ ხოლმე, მაგრამ დანარჩენ საგალობელს დიაკვანი განაგრძობდა ჩვეულებრივის „კივკივით".

რაც შეეხება იმას, თუ ვინ ასწავლა როსტომაშვილის სკოლის შეგირდ ქალებს ეს თითო-ოროლა «უფალო შეგვიწყალენ» და „ამინ კირიელეისონი", ამას მარტოკა თქვენ ტვირთულობთ, ბ-ნო ჩხიკვაძევ, და აი რათა: თქვენ ისევ ტფილისში ბრძანდებოდით, როცა ის სკოლა გაიმართა; სანამ თქვენ თელავს მობძანდებოდით და იმ სკოლის მასწავლებლად მიგიწვევდნენ, მანამ იმ სკოლაში ყოველისფერ შესაფერ საგნების სწავლა გაჩაღებული იყო, რადგანაც იგი სკოლა იყო არა, როგორც თქვენ ეძახით, მარტოკა პ. როსტომაშვილის საკუთრებად და საჭირ-ბოროტოდ, არამედ სთვლიდნენ საერთო—საყოველთაოდ და ამისათვის ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა იმ წმინდა ტაძრში და ყველა სიამოვნებით შველოდა და ემსახურებოდა პატიოსან მშრომელს როსტომაშვილს და გარდა ყოველ თვიურის მცირედის შესაწირავისა, თელავის ყველა ქართველი მასწავლებელნი მზად იყვნენ ყოველ დღე, როცა-კი დრო ჰქონდათ, ესწავლებინათ უსასყიდლოდ რამდენსამე საათს. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, გ. საძაგლიშვილი, ვანო კაპანაძე, მღ. ი. შიუკაშვილი, განსვენებული მ. ქელივაძე და სხვანი. რაც შეეხება სიმღერა-გალობას, ქართულ საერო სიმღერებს ასწავლიდა ქ-ნი სოფიო ზარაფიშვილისა, ხოლო ქართულ მცირე გალობას ასწავლიდა საროთთვეოდ მოსული ბ-ნი შიო შიუკაშვილი.

აგრეთვე იქცეოდნენ უკანასკნელ შემთხვევამდის თქვენის მასწავლებლობის დროსაც, რომელ მათგანსაც-კი დრო და შემთხვევა ნებას აძლევდა. რაც შეეხება ჩვენის ქებით „თქვენს ცაში აფრენას", ჩვენ და ყველა ჩვენთაგანი ღმერთმა სამუდამოდ დაიხსნას მაგ გვარის საგიჟოსაგან!

აგებ, ბ-ნო ჩხიკვაძევ, მოგეჩვენათ, ან იქნება მწარედ დაგცინით ვინმემ და თქვენ ქებად მიიღეთ?! მაგრამ მაინც საუბუქო კაცი ბძანებულხართ, თქვენმა მზემ, თუ მაგრე ადვილად ცაში აფრინდით!!.

რაც შეეხება იმას, ვითომ „1885 წ. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს აწირვინეთ ტაძარში დღეობას", ეს ისეთივე თითო-ოროლა „უფალო შეგვიწყალენით" შემოზღუდული „აწირვინეთ" გახლდათ, როგორც ზევითა ვსთქვით, და, თუ ყოვლად სამღვდელოს მოთმინება შერჩა და გარეთ არ გამოგყარათ, ეგ იმიტომ-რომ ჯერ „ღვთის ტაძარი" იყო და მერე—ეგებ ბალღები წახალისდნენო. აქ ვითომ თქვენი საქებარი რათ გნებავთ ჰპოვოთ!

გარდა ამისა, ერთის „ბაღდადის" არაკისა არ იყოს, ადამის წლის საქმე ხომ არ არის, რომ აღარ მოეხსენებოდესრა, სულ ოთხის წლის საქმეს არა ლაპარაკობთ? ის შეგირდი ქალები აქვე გარშემო არ გახვევია (თუ გინდა ნუღარ მოვიხსენებთ, ბ-ნ შიო შიუკაშვილის სწავლას) და ქართულ გალობაში შენგან ისე მშვენიერად გაწვრთნილს როსტომაშვილის სკოლის შეგირდ ქალებს აბა ერთი ამოაღებინე ხმა, რომ „ვიცით ქართული საეკლესიო გალობაო", ყველას-კი არა (სკოლაში 80 მეტი იყო) თუნდა სამს, ორს, ერთს მაინც!..

და რა საჭიროა ყველა ესენი, მაშინ როდესაც, როგორც ზევით გავიმეორეთ, 1888 წ. თელავის, სიღნაღის, თიანეთისა და ტფილისის მაზრის ერთმა წილმა და ზაქათალის ოლქის სამღვდელოებამ, რომელსაც ერთად-ერთი სასულიერო სასწავლებელი აქვს თელავში, დაავალა ამ სასწავლებლის მთავრობას, რომ ქართულ ენა-გალობას მეტი ყურადღება მიაქციეთო, რადგანაც იგი გალობა თითქმის გამქრალია სასწავლებელშიო, და ამ «მეტის ყურადღებისათვის» სამღვდელოებამ მიუმატა ბ-ნ ჩხიკვაძის ჯამაგირს თავის საკუთარის ჯიბიდგან ოცი თუმანი წელიწადში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული გალობა მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებინა და ყოველ უქმესა და სადღესასწაულო დღეს უთუოდ ეგალობებინა შეგირდებს, როგორც თვით სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში, აგრეთვე ქალაქის საკრებულო და ღვთაების ეკლესიაში. მერე ან ერთხელ უგალობებია ქართულად ბ-ნ ჩხიკვაძეს?! არა და ათასჯერ არა.

ვიტყვით კიდევ მეტს. სასაცილო იყო, რომ სამწუხარო არა ყოფილიყო ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის მდგომარეობა, როცა მალაუნებურად ათასში ერთხელ მოიწვევდნენ თავის შეგირდებით საგალობლად. რამდენჯერ ვინახავს საუფლისწულო დღესასწაულებში, როცა ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოზი ბესარიონი ბძანებულა მწირველი, თელავის საკრებულო ეკლესიაში მთელი წირვა დიდის სასოებით აღუსრულებია ყოვლად სამღვდელოს მთელის კრებულით ქართულად, ხოლო ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე კი თავის შეგირდებით იმავე დროს გალობდა რუსულად!!.

აგრეთვე სასაცილო იყო ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის მდგომარეობა განსვენებულ გ. გ. ყარანგოზიშვილის დასაფლავების დღეს საკრებულო ეკლესიაშივე, როდესაც მთელი წირვა და პანაშვიდი ქართულად იყო და მან და მასმა შეგირდებმა ვერ მოახერხეს ქართული გალობა და მთელის წირვის წესს რუსულის გალობით ასრულებდა ბ-ნი ჩხიკვაძე.

ამ „არეულობით" განცვიფრებულმა და მოთმინებიდგან გამოსულმა ერთმა უცხოელმა ხმა-მაღლა წამოიძახა: „რას ჰგავს ეს! ნუ თუ ქართველებს აქამდის არა გქონდათ ქართული გალობაო?!"

აბა ვინ უპასუხებდა: ქართველებს ათი საუკუნეც მეტია, რაც ქართული ეკლესიური გალობა გვაქვს, და აქ თუ არ არის, ამაში ქართული გალობა-კი არ არის დამნაშავე, დამნაშავეა ბ-ნი ჩხიკვაძე და სხვა არავინაო.

დავანებოთ თავი ყველა ამას და მივმართოთ სამღვდელოთა კრების „ჟურნალს", რომელიც შედგენილია ზემო ჩამოთვლილ ოლქისა და ოთხის მაზრის სამღვდელოებისაგან და რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეგზარხოსის პალადის მიერ. «დადგენება» 1889 წ. გიორგობისთვის 27-ს თელავის, სიღნაღის, თიანეთისა და ნაწილის ტფილისის მაზრისა და ზაქათალის ოლქის სამღვდელოთა კრებისა (მუხ. მე 6)...

Съѣздомъ духовенства телавскаго училищнаго округа отъ 1—4 *декабря 1888 года постановлено было* „ассигновать 200 руб. на жалованье учителю церковно-грузинскаго пѣнія. Просить Его Высокопреосвященство экзарха Грузіи сдѣлать распоряженіе, чтобы *ученики духовнаго училища обязательно практиковались въ пѣніи и чтеніи по грузински въ двухъ городскихъ церквахъ: соборной и преображенской въ воскресніе и праздничные дни*".

По заявленію членовъ училищнаго правленія отъ духовенства и депутатовъ, преподаваніе церковно-грузинскаго пѣнія въ училищѣ находится *въ крайне плачевномъ состояніи. Ученики остаются безъ ученія пѣнія, а объ обязательномъ практикованіи* при *училищной и городскихъ церквахъ нечего и говорить*. Такимъ образомъ постановленіе прошлогодняго съѣзда духовенства (1—4 декабря 1888 г.), утвержденное Его Высокопреосвященствомъ экзархомъ Грузіи, осталось безъ всякаго вниманія и исполненія. *Постановленіе отъ 27 ноября 1889 года*: съ 1-го января наступающаго 1890 года прекратить выдачу жалованья настоящему учителю церковно-грузинскаго пѣнія изъ 200 руб., ассигнованныхъ духовенствомъ округа на грузинское пѣніе, впредь до пріисканія правленіемъ училища *надежнаго* учителя грузинскаго пѣнія, *хотя бы отъ духовенства округа понадобилось бы увеличеніе содержанія*" და სხვ.

ვგონებთ, ესეც საკმაოა და კიდეც უნდა ეყოს „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელს" ბ-ნ ზ. ჩხიკვაძეს.

მოქალაქე

---

*) ეს გაჭიანურებული „ტიტული" საკუთრად ზ. ჩხიკვაძისა გახლავთ და ნურას უაცრავად, თუ გეხამუშოთ. მერწმუნეთ, მეც ეგრე სახოთიროდ მიმაჩნია და მიმაჩნდა, როცა წავიკითხე გაზეთში (იხ. „ივერია", № 18) ეს მოხსენებული ტიტული და მაშინვე მომაგონდა ის იმერელი აკაკის სცენისა, რომელსაც ჰკითხეს, ვინა ხარო, და იმანაც სთქვა თავ-მოწონებით: „მე გახლავარ გარანცოის უმფროსი-კასრულჩიკის-პოპოშნიკის-თანაშემწის-ხელ-ქვეითიო"... რა გაეწყობა, ყველას თავისი გემოვნება აქვს, ყველა ბარონი თავის ქეიფზე იქცევა: კაცია და გუნებაო...

ავტ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დიდი აურიაქოთი ასტეხა პარიჟში პაწია წიგნაკმა პოლკოვნიკის შტოფელისამ. რუსეთს, რომელსაც ამ ჟამად დიდი მეგობრობა აქვს საფრანგეთთან, ამ ქვეყანაში თუ ბევრი მომხრე და პატივისმცემელი ჰყავს, მტერიც ცოტა არ მოეპოვება, და აი მტერთა და არა მომხრეთა რიცხვს ეკუთვნის პოლკოვნიკი შტოფელიც და იმისი წიგნაკი რუსეთისა და საფრანგეთის ურთიერთობას შეეხება. რაღა თქმა უნდა, შტოფელი არაფრად უწონებს საფრანგეთს რუსეთის მეგობრობას და უფრო გერმანიისაკენ იხედება მოწყალე თვალით. ამ წიგნაკის შინაარსი მცირედ მოყვანილია გუშინდელ „Новое Время"-ს ნომერში. კორრესპონდენტს ორიოდგან წიგნაკიც სიტყვებიც მოჰყავს. წიგნაკი ამბობს, რომ რუსეთი საფრთხობელაა ცივილიზაციისათვისაო.

ეს ქვეყანა პოლიუსთან არის დაყუდებული, ზურგით ყინულთა სამეფოს მიჰბჯენია, დასახლებულია მეტად უწვრთნელის, გაუნათლებელის, უთავოსნო ერით, იმ ერით, რომლის ბუნებრივს ყოფა-მდგომარეობას სიღარიბე და ხეტიალი შეადგენს. ამ ქვეყანას, რაღა თქმა უნდა, დიდი სარგებლობა აქვს, რომ თავისს გაყინულ უდაბნოდგან სამხრეთ ევროპის მდიდარსა და მზის შუქით გალაღებულ ადგილებისკენ წამოიწიოს. თითონ იმას-კი მტერი ძნელად მიეკარება, წელიწადში 3—4 თვეს გარდა, ვერ მიეკარება, რადგან დიდი სიცივე დგას, მეტად უნაყოფო და მწირი მიწები უჭირავს და იქაური ბუნება მკვდარი და დამზრალია. ადამიანს ცახცახი იტანს, როცა წარმოიდგენს, რომ შეიძლება ამ უშველებელმა ბრბომ, რომელზედაც კაცი ვერც ზურგიდგან მიიტანს იერიშს და ვერც გვერდებიდგან, ევროპისკენ გაილაშქროს. იგი ყველაფერს წარღვნის, თუ გაიმარჯვა, და, თუ დამარცხდა, კვლავ თავის ყინულის სამეფოში შეიხიზნებს თავს. თუ ასე მოხდა, როგორ-ღა უნდა შეუმაგრდნენ ტალღას სლავიანთა მოდგმისას დაქსაქსულნი დასავლეთის მცხოვრებნი ხალხნი? ეს ბრძოლა ჭიდილი იქნება ცივილიზაციისა და ბარბაროსობისა, მაშინ დადგება ის დრო, როდესაც შეიძლება განხორციელდეს ნაპოლეონ I-ის წინასწარმეტყველება წ. ელენეს კუნძულზედ: „ევროპა ან რესპუბლიკა იქნება, ან საკაზახო ევროპად გარდაიქცევაო".

შტოფელი იმ აზრისაა, რომ „ევროპის სახელმწიფონი ერთმანეთს უნდა შეუკავშირდნენ, იბრუნონ პირი აღმოსავლეთისაკენ და ხელი უნდა შეუშალონ რუსეთის პატივისა და დიდების მოყვარეობას. ასეთი კავშირი თავისუფლებისა და ევროპის ცივილიზაციის კავშირი იქნებაო". ამ საქმისათვის საჭიროა აგრეთვე, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოურიგდნენ ერთმანეთს საფრანგეთი და გერმანია. ამის შესახებ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობის მიერ უკვე ისა აზრია გამოთქმული, რომ ეს მორიგება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გერმანია საფრანგეთს ელზასსა და ლოტარინ-

გიას დაუბრუნებსო. გერმანელები ასეთის პირობით მორიგებას ყოველთვის უკადრისობენ, თავზედ იცილებენ და დიდს წინააღმდეგობას აცხადებენ, მაგრამ ეს მაინც დიდ დაბრკოლებად არ მიაჩნია შტოფელს.

რა ვუყოთ მერე, გაიძახის შტოფელი: ეხლანდელი თაობა თუ არ დაუბრუნებს საფრანგეთს ელზას ლოტარინგიას, მომავალი დაუბრუნებს. ეს აუცილებლად ასე უნდა მოხდეს. ზოგიერთი გერმანელები უკვე ეხლავე შეურიგდნენ ამ ორის პროვინციის დაბრუნების აზრს და მაშინ ხომ უეჭველად დამთავრდება ეს საქმე, როცა შეერთებულ გერმანიის შემქმნელნი დაიხოცებიან. რუსეთი თავის დღეში ვერ მოურიგდება გერმანიას და დღეს იქნება, თუ ხვალ ბრძოლას აუტეხავს. ამიტომ გერმანია, იმის ასაცილებლად, რომ ორ ცეცხლ შუა არ ჩავარდეს და ორმა ესოდენ ძლიერმა ერმა არ ჩაიმწყვდიოს, იძულებული იქნება საფრანგეთსა სთხოვოს, შენი პროვინციები უკანვე დაიბრუნე და შემომიერთდი, შემომიკავშირდი ბარბაროსთა წინააღმდეგაო.

შტოფელის მიერ გამოთქმული აზრი, როგორც ჰხედავთ, არ ახალია—ძველია, არა ერთხელ გამეორებულა და იმის ხელ-ახლად გამეორება, ისიც სამხედრო კაცის მიერ, დროთა ვითარების ნიშანი თუა.

## წვრილი ამბები

ექიმი კარლ ლუმგოლცი ფრიად საინტერესო ამბავს მოგვითხრობს ვირთაგვების გადასახლების შესახებ ერთის ადგილიდამ მეორეზედ. ეს ამბავი ექიმს ჩრდილოეთ-დასავლეთ ავსტრალიაში გაუგონია იქაურ მცხოვრებთაგან, რომელთა შორის ოთხი წელი დაუყვია. 1879 წ. ჩრდილოეთ-დასავლეთიდამ წამოსულა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ უზარმაზარი გუნდი ვირთაგვებისა. ეს ვირთაგვები ისე მწყობრად და რიგ-შეუშლელად მოდიოდნენ, რომ ადამიანს გაწვრთნილ ჯარის მწყობრი სიარული მოაგონდებოდაო. სიარულის დროს ისე მიტყუპებით, ისე ახლო-ახლო მიდიოდა ერთმანეთთან რაზმი, რომ გეგონებოდა დედამიწა მირბისო. ალბად ვირთაგვების პირვანდელ საცხოვრებელ ადაგას ჭავა გამოიცვალა და ამიტომ მოხდა მათი ასე ერთბაშად გადმოსახლებაო.

—ჟურ. «Наука и жизнь»-შიაც არის მოყვანილი ერთი ამისთანავე ამბავი გველების გარდასახლების შესახებ. მდინარე არაქსზე ნავში დასხდნენ ბოდა მენავეს. გამოღვიძებია თუ არა, დაუნახავს რომ მთელი მდინარე და მისი ნავი სავსე იყო შხამიანის გველებით და თითონ იმასაც მუხლებსა და ირგლივ მთელს ტანზე შემოხვეოდნენ მცურავნი. მოხერხებულმა მენავემ ნავი მაშინვე იქით ნაპირისკენ გააქანა, საიდგანაც გველები მოდიოდნენ, და როცა ნაპირზე გავიდა, გველები სწრაფად ჩამოეხსნენ თურმე ამ კაცს, ისევ წყალში ჩაცვივდნენ და გაემართნენ იქით, სადაც მთელი ხრო მიემგზავრებოდა.

—ერთს სტატისტიკოსს გამოუანგარიშნია, თუ რა სიმაღლისა ყოფილა ადამიანი სხვა-და-სხვა საუკუნეშიო. 1610 წელს შუა სიმაღლისა ის ითვლებოდა თურმე, ვისაც ტანი ორს ადლს უდრიდა; 1790 წ. შუათანა სიმაღლე ადამიანისა ადლ ნახევარს ოდნავ აღემატებოდა; 1820 წ. ეს ზომა კიდევ უფრო შემცირებულა და ახლა ხომ ერთ ნახევარ ადლს თითქმის აღარც-კი აღემატებაო. აქედგან ჩვენს სტატისტიკოსს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ქვეყნის გაჩენის დროს სამ ადლ ნახევრის სიმაღლისა უნდა ყოფილიყო ადამიანი და ქრისტიანობის პირველ საუკუნეში—ორ ადლზედ ცოტა ნაკლებისაო. ოთხი ათას წელს იქით ქრისტეს დაბადებიდამ-კი ადამიანი მხოლოდ ნახევარ გოჯის სიმაღლისა იქნებაო.

## დეპეშა

20 თებერვალი

როსტოვი (დონისა). ოლქის სასამართლოში ექვს დღეს გასტანა იმ საქმის გარჩევამ, რომელშიაც ალექსანდრა მაქსიმენკოს ჰბრალდებოდა მოწამვლა ქმრისა რეზნიკოვის მონაწილეობით. მოწვეული იყო ასამდე მოწამე. ბრალდებულთა დამცველნი იყვნენ: პლევაკო, ხოლევა და ვოლკენშტეინი. ნაფიცთა მსაჯულთა გარდაწყვეტილებით ორივე ბრალდებული გამართლებულ იქმნა.

პარიჟ. პოლიტიკოსები ამბობენ, რომ კაბინეტის ყოფა გაჭირებული ყოფილაო. გუშინდელს კრებაზე არ გათავდა იმის დამხობის საქმე მხოლოდ იმიტომ, რომ მინისტრმა ბურეუამ რადიკალობის მოსაწონად ილაპარაკაო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 თებერვ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 36 |
| ტამოჟნის კუპონები . . | 146 | „ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა . . . . . | 227½ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 217½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზიდვის გემები.

## განცხადებანი

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინის ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ვყიდოთ ჩვენი

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიხედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ ივი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის ყუთის მსგავსს ყუთში გაკეთებულს.

—შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა ექვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება

(26—1)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—46)

ტფილისის საბალოსნო სკოლაში

ისყიდება

ხეხილი, დასამშვენებელი ხეები და ბუჩქები ერთ წლიანებიდამ დაწყებული ოც წლიანებამდე.

(10—10)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის და რომ. ფანცხავას

ქართულ წიგნის მაღაზიაში

პირველად გამოცემული

ქართული კედლის კალენდარი

მხატვრობით

1890 წლისა.

კალენდარში მოთავსებულია ყოველ გვარი კალენდარული ცნობანი და სურათებით არის შემკული.

ფასი 40 კაპ.

იქვე ისყიდება

1890 წლის

კედლის

ქართული კალენდარი

წლიწადი მეორე

კალენდარი ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა, სახელმწიფო უქმეები, შესანიშნავი ისტორიული მოვლენანი, მთვარის ანგარიში, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ნაკვესიდამ, დამაკვირდიდამ და ქართული საჭმელების მომზადება.

ფასი 40 კაპ.

1890 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80 მდე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობისა და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, ამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით და მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворовая ул., д. Зем. Банка, №102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*.

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

სასტუმრო

„პურ-ღვინო“

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმლებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითოეულად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისივე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ყიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკიორები) და საზღვარ გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეტები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს აიეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.

(25—9)

Доз. ценз. Тиф лисъ21-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С, А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე